



შპს „ინტერტრანი 2011“

სკ 404899570

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

სარჩევი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება --- 2

მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება --- 3

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება --- 4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები --- 5

ფინანსური მდგომარეობა			
ფინანსური მდგომარეობა	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	22584	60842	40301
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	475072	575789	112257
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	1246	1246	1246
მარაგები	16400	16400	22559
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	16400	16400	22559
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	6931	7982	26175
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	0
ძირითადი საშუალებები	1434124	1869248	517641
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	1956357	2531507	720179
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	335890	224594	122552
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	22391	20609	11402
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	1747050	2139479	648302
სულ ვალდებულებები	2105331	2384682	782256
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (მზს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში	50	50	50
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	-149024	146775	-62127
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	-148974	146825	-62077
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1956357	2531507	720179
სულ მოკლევადიანი აქტივები	6931	7982	26175
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	358281	245203	133954
კაპიტალიზირებული განვითარების დანახარჯები	0	0	0

საქმიანობის შედეგები		
საქმიანობის შედეგები	31/12/2024	31/12/2023
ნეტო ამონაგები	2326383	2751827
საქონლის გაყიდვიდან	0	0
მომსახურების გაწვიდან	2321383	2548818
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	5000	203009
გაყიდვების თვითღირებულება	-1470827	0
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	855556	2751827
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-185394	-153289
ცვთა / ამორტიზაციის ხარჯი	-313546	-207168
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	-243173	-143733
იჯარის ხარჯი	0	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-409242	-2038735
სულ საოპერაციო ხარჯები	-1151355	-2542925
საოპერაციო მოგება	-295799	208902
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობი	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობი	-295799	208902
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-295799	208902
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მკავშირე საწარმოების	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-295799	208902
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	146825	-62077
ახალი აქციების გამოშვება (მზს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრ	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	-148974	146825
კვლევისა და განვითარების ხარჯები	0	0

ფულადი სახსრების მოძრაობა		
ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2024	31/12/2023
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-38241	20584
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-38241	20584
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-17	-43
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	60842	40301
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	22584	60842

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შესავალი / საქმიანობის მიმოხილვა

შპს „ინტერტრანსი 2011“ წარმოადგენს სატრანსპორტო გადაზიდვის კომპანიას, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოში. კომპანიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა მის მფლობელობაში არსებული სატვირთო ავტომანქანებით სამშენებლო მასალის გადაზიდვას. შპს „ინტერტრანსი 2011“-ის საქმიანობის მთავარი მიზანია უზრუნველყოს აქტივების სწორი მართვა მომხმარებელთა ინტერესების და მოთხოვნების გათვალისწინებით, უზრუნველყოს კომპანიაში მკაცრი ფინანსური დისციპლინა, რაც კომპანიის რესურსების სწორად და ეფექტურად მართვის მთავარი პირობაა.

ინფორმაცია მფლობელის შესახებ

შპს „ინტერტრანსი 2011“ 2011 წლიდან ახორციელებს საქმიანობას. მის 40%-იან წილს ფლობს თამარ მშვიდლობაძე, ხოლო 60%-იან წილს ფლობს კონსტანტინე კოტია.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ეროვნულ ვალუტაში - ლარში, რომელიც წარმოადგენს შპს ინტერტრანსი 2011-ის სამუშაო ვალუტას.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას, გაუწევს მომსახურებას დამკვეთებს და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ძირითად ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული

კურსით. კომპანიის ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების აღრიცხვა ხდება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე. უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი არის შემდეგი

31/12/2024 – 1 USD/GEL – 2.8068

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების აღიარება ხდება გარიგების ფასით. რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თავდაპირველი ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება შესყიდვის ფასისგან. მცირე ფასიანი შეკეთებისა და განახლების ხარჯების აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი გაწევისთანავე. ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყის ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა .

ცვეთა

ძირითადი საშუალებების ერთეულების ცვეთა გამოიანგარიშება წრფივი მეთოდით მათი თვითღირებულება ან გადაფასებული ღირებულება ნარჩენ ღირებულებაზე ნაწილდება სასარგებლო მოხმარების ვადის განმავლობაში.

აქტივების ნარჩენი ღირებულებები, სარგებლიანობის ვადები და ცვეთის მეთოდები გადაიხედება და კორექტირდება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ ბოლო საანგარიშგებო თარიღის შემდეგ ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან ცვლილებას.

აქტივის საბალანსო ღირებულება დაუყოვნებლივ ჩამოიწერება აღდგენად ღირებულებამდე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება მის მოსალოდნელ აღდგენად ღირებულებას აღემატება. რეალიზაციით გამოწვეული მოგება და ზარალი დგინდება შემოსავლის საბალანსო ღირებულებასთან შედარებით და მთლიანი შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება „სხვა შემოსავალსა“ და „სხვა საოპერაციო ხარჯებში“.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღიარებულ ვალდებულებას და პროცენტი არ ერიცხება.

მოგების გადასახადი

გადასახადები აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად. საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა (მათ შორისაა კომერციული ბანკები, სადაზღვევო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და სხვა), ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი, ე. წ. “ესტონური”, მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება).

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო ფონდში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არაფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს. როდესაც მოხდება შესაბამისი სარგებლის მიღება თანამშრომლების მიერ.

საწესდებო კაპიტალი

კაპიტალი განისაზღვრება წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც შევსებულია დამფუძნებლის მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლის შენატანების რეალური ღირებულებით.

კრიტიკული სააღრიცხვო პროგნოზები და შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას

კომპანია აკეთებს ისეთ პროგნოზებსა და დაშვებებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში. პროგნოზები და შეფასებები მუდმივად გადაიხედება და ეფუძნება მენეჯმენტის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის, იმ მომავალი მოვლენების მოლოდინს, რომლებიც მოცემულ ვითარებაში რეალისტურად მიიჩნევა.

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სარგებლიანობის ვადა.

ძირითადი საშუალებების ერთეულის სარგებლიანობის ვადის დადგენა მენეჯმენტის შეფასებით ხორციელდება მსგავს აქტივებზე გამოცდილების საფუძველზე. აქტივის სარგებლიანობის ვადის დადგენისას მენეჯმენტი მხედველობაში იღებს ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთასა და მისი ოპერირების გარემოს ფიზიკურ გარემოს. ნებისმიერი პირობის ან პროგნოზის ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთების კორექტირება.

შპს „ინტერტრანსი 2011“ - ის
დირექტორი

გ. ონიანი

